პროლეტარეთა ერთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№120 (11426)
ოთხშაბათი
27
მაისი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

ქართველ კოლმეურნეთა დელეგაცია კალინოვკაში

ხომუტოვკა, (კურსკის ოლქი, ტელეგრაფით). 25 მაისს ბოლნახის ა. ს. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია ამხ. ა. ხიდაშელის ხელმძღვანელობით, რომელმაც სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება უნდა დადოს სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობასთან, კურსკში ჩამოვიდა. მოძმე ქართველი ხალხის წარმომადგენლები მიიღო სკკპ კურსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. მონაშვილმა.

იმავე დღეს დელეგაცია კალინოვკაში ჩავიდა. სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე და აგრონომი სოციალისტური შრომის გმირი დ. ტ. ვანინი, პარტკომის მდივანი დ. ვ. ორლოვი, სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები. სადამოს სტუმრების პატივსაცემად საკოლმეურნეო სახტუმროს სახადილოში გაიმართა ვახშამი. 26 მაისს სტუმრები შეუდგნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სამშობლო სოფლის კალინოვკის სასოფლო-სამეურნეო არტელის მეურნეობის დათვალიერებას.

ხ. პროზოროვი,
ი. ფადკინი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტები.

მოძმე ხალხების ერთიანობა და დარაზმულობა

„პრავდის“ 26 მაისის მოწინავე

გულითადი, ძმური გრძნობებით შეხვდა გუშინ ალბანელი ხალხი ძვირფას სტუმრებს — საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. დელეგაცია ტირანაში ჩავიდა მეგობრობის ვიზიტით ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით. იმავე დღეს ალბანეთის დედაქალაქში დაიწყო ორივე ქვეყნის დელეგაციების მოლაპარაკება. დელეგაციებმა აზრები გაუზიარეს ერთმანეთს საკითხთა ფართო წრის შესახებ, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. მოლაპარაკების მსვლელობაში გამოვლინდა შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა საკითხში. მოლაპარაკება გრძელდება გულითად, მეგობრულ ვითარებაში.

მშვენიერი ტრადიცია გახდა სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეების ურთიერთ ვიზიტები. ეს ვიზიტები ხელს უწყობენ მძლავრი სოციალისტური ბანაკის მთელი ძალების დარაზმვას. სოციალიზმის ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის მუდმივი განმტკიცება მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების კანონზომიერებაა.

საბჭოთა კავშირისა და ალბანეთის მშრომელები დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი არა მარტო ახალ მკაფიო ფურცელს გადაშლის ჩვენი ხალხების მეგობრობის დიდი ხნის და სახელოვან მატიანეში, არამედ ხელს შეუწყობს აგრეთვე მთელი სოციალისტური ბანაკის ერთიანობისა და დარაზმულობის შემდგომ განმტკიცებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

„საბჭოთა ხალხი და ალბანელი ხალხი, — განაცხადა თავის სიტყვაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ტირანის აეროდრომზე, — **სამუდამოდ დაკავშირებული არიან ურღვევი მეგობრობით, მეგობრობით, რომელიც ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მტკიცე საძირკველს.**

ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა გამოირჩევა განსაკუთრებული გულთბილობით და გულითადობით. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი თქვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს საბჭოთა ხალხისა და ალბანელი ხალხის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საქმეს“.

საბჭოთა კავშირ-ალბანეთის მეგობრობა მტკიცე და ურღვევია, როგორც ძმების მეგობრობა. იგი ძალებს იძენს მძლავრ ცხოველმყოფელ წყაროში. ეს წყაროა დიდი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, საერთო ინტერესები მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირისა და ალბანეთის მეგობრობა მსოფლიო სოციალიზმის სისტემაში დიდი და პატარა სახელმწიფოების თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მკაფიო ნიმუშია.

საბჭოთა კავშირ-ალბანეთის მეგობრობის მედროშეები არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ალბანეთის შრომის პარტია. ორივე ქვეყნის მარქსისტულ-ლენინური პარტიების ძმური თანამშრომლობა შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და ალბანელი ხალხის ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს, მძლავრი მამოძრავებელი ძალაა სოციალიზმისა და კომუნიზმის ერთობლივ მშენებლობაში.

ალბანეთის შრომის პარტია მტკიცედ მიუძღვის ხალხს წინ სოციალიზმის მშენებლობის გზით, გადაჭრით იბრძვის კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთობის განმტკიცებისათვის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების თანამშრომლობისათვის, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის. ალბანეთის შრომის პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობა, რაც ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, განუწყვეტლივ მტკიცდება და ვითარდება ჩვენი ქვეყნების, მთელი სოციალისტური ბანაკის ხალხების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ.

სახალხო ალბანეთი საბჭოთა სტუმრებს ხვდება შემოქმედებითი ძალებით აღსავსე. სოციალიზმი რწმენით და მტკიცედ მიაბიჯებს წინ განახლებულ ალბანეთში. ალბანეთი იჩის მკაფიო მაგალითია, თუ რა ბევრი რამის გაკეთება შეუძლია შრომისმოყვარე და მამაც ხალხს, თუ სოციალიზმის გზით მიდის, თუ სოციალისტური ქვეყნების დიდი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია.

შრომის პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც უნარიანად უფარდებს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებსა და საბჭოთა გამოცდილებას თავისი ქვეყნის კონკრეტულ პირობებს, ალბანეთის მშრომელებმა თავიანთი სამშობლო ჩამორჩენილი და ღატაკი ქვეყნიდან გადააქციეს განვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. სამრეწველო წარმოების მოცულობა ალბანეთში ომამდელ დროსთან შედარებით 18,7-ჯერ გადიდდა. რესპუბლიკის მრეწველობა ახლა სამ კვირაში აწარმოებს იმდენ პროდუქციას, რამდენსაც იგი უშვებდა მთელ 1938 წელს. ალბანეთი — ოდესღაც-ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა ევროპაში — ახლა ერთ სულ მოსახლეზე იღებს მეტ ნავთობს, ქვანახშირს, სპილენძსა და ქრომს, ვიდრე საბერძნეთი და თურქეთი, ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებს მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე თურქეთი, ხოლო ბამბის ქსოვილებს — მეტს, ვიდრე იტალია, თურქეთი ან საბერძნეთი.

წაიშალა მიჯნები ალბანეთის სოფელში. ერთპიროვნული ნაკვეთების მცირე ნაგლეჯები გადაიქცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფართო მინდვრებად, რომლებსაც ეკუთვნით მთელი სასარგებლო მიწის უკვე ოთხი მეხუთედი. 2.800 ტრაქტორი ამუშავებს ალბანეთის ყანებს, სადაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გლეხი ხის კავი ჩიჩქნიდა მიწას.

კულტურის შუქმა გააკაშკაშა ალბანეთის ყველა კუთხე. იმ ქვეყანაში, სადაც წინათ მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტმა წერა-კითხვა არ იცოდა, ყოველი მეექვსე კაცი სწავლობს, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარობა თითქმის მთლად ლიკვიდირებულია. წლითიწლობით უმჯობესდება ხალხის ცხოვრება.

ალბანეთი განთავისუფლებამდე სათამაშო იყო იმპერიალისტ მტაცებელთა ხელში. სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობაში სახალხო ალბანეთმა მოიპოვა ნამდვილი სახელმწიფო დამოუკიდებლობა, შესაძლებლობა მიეცა განამტკიცოს თავისი პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს სულით და გულით უხარიათ ალბანეთის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცება, მის სახელოვან მშრომელთა წარმატებანი. საბჭოთა ხალხს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია დახმარება გაუწიოს ალბანელ ხალხს სოციალისტურ მშენებლობაში. უკანასკნელ ხანს სსრ კავშირმა ალბანელ მეგობრებს მისცა კრედიტი 335 მილიონი მანეთის საერთო ოდენობით.

ალბანელი ხალხი დიდად აფასებს საბჭოთა ხალხის უანგარო ძმურ მხარდაჭერას. **„ალბანელ ხალხს საბჭოთა კავშირთან მეგობრობა მიაჩნია ყველაზე ძვირფას თავის საუნჯედ,** — ხაზგასმით აღნიშნა გუშინ საბჭოთა სტუმრების შეხვედრის დროს ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ენვერ ხოჯამ. — **ალბანეთში ყველა, დიდით პატარამდე, მხურვალე სიყვარულითა და დიდი მადლობით ეპყრობა თქვენს სახელოვან სამშობლოს, რადგან, საბჭოთა კავშირთან დაკავშირებულია ჩვენი ხალხის ყველაზე დიდი გამარჯვებანი: ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და სახალხო რევოლუციის გამარჯვება, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობა. როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, რომელიც სოციალიზმს აშენებს ჩვენს ქვეყანაში“.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა ალბანელ მშრომელებს მიაჩნიათ საამედო კომპასად, რომელსაც მიჰყავს კომუნიზმის ნათელი ნაპირებისაკენ არა მარტო საბჭოთა ხალხი, არამედ სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა ხალხებიც.

ურღვევი ძმური მეგობრობა აკავშირებს ჩვენს ქვეყნებს, ჩვენს ხალხებს, ჩვენს მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი ალბანეთში გახდება ჩვენი ხალხების მეგობრობის სასიხარულო დღესასწაული. დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, სოციალიზმისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ.

ალბანელი ხალხი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა სტუმრებს

★ ★

მოლაპარაკება სსრ კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის

ტირანა, 25 მაისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** 1959 წლის 25 მაისს დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას შორის.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. მუხიტდინოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. ივანოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ა. ბულგაკოვი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. დ. დუმბაძე, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. ვეზიროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ი. ტ. ვინოგრადოვი, ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. რასულოვი.

ალბანეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ: ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ენვერ ხოჯა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეჰმეტ შეჰუ, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰიუსნი კაპო, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სახალხო თავდაცვის მინისტრი ბექირ ბალუქუ, ალბანეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე გოგო ნუში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე სპირო კოლეკა, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლირი ბელიშოვა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და განათლებისა და კულტურის მინისტრი მანუშ მუფთიუ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე კოჩო თეოდოსი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აბდულ კელეზი, მრეწველობისა და სამთამადნო მრეწველობის მინისტრი ადილ ჩარჩანი, სოფლის მეურნეობის მინისტრი მათიო ჩომო, საგარეო საქმეთა მინისტრი ბეჰარ შტიფელა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნესტი ნასე.

დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხთა ფართო წრის შესახებ.

მოლაპარაკების მსვლელობაში გამოვლინდა შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა საკითხზე.

მოლაპარაკება გულითად, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. მოლაპარაკება გრძელდება.

სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ალბანეთში

ტირანა, 25 მაისი. **(საკდესის სპეც. კორ.),** დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ვიზიტი გაუკეთა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სახალხო კრების პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს. დელეგაციას ახლდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნესტი ნასე.

დელეგაცია მიიღეს ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ენვერ ხოჯამ, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ჰაჯი ლეშმი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეჰმეტ შეჰუმ, ბექირ ბალუქუმ, გოგო ნუშმი, ჰიუსნი კაპომ, ლირი ბელიშოვამ, მანუშ მუფთიუმ, სპირო კოლეკამ, ადილ ჩარჩანმ, ჰაჯი ტოსკამ, კოჩო თეოდოსიმ, რამიზ ალიამ, რაპო დერვიშმ, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სახალხო კრების პრეზიდიუმის და მთავრობის წევრებმა.

ვიზიტის დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც განსაკუთრებით გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ვიზიტის შემდეგ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ენვერ ხოჯამ და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეჰმეტ შეჰუმ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად გამართეს სადილი, რომელმაც გულითად ვითარებაში ჩაიარა.

სადილის დროს ენვერ ხოჯამ და ნ. ს. ხრუშჩოვმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

ტირანა, 25 მაისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით გვირგვინი შეამკო იმ გმირთა საფლავი, რომლებიც დაეცნენ ალბანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. გვირგვინს რუსულ და ალბანურ ენებზე აქვს წარწერა: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისაგან. სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“.

გვირგვინით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ ამხანაგები ენვერ ხოჯა, მეჰმეტ შეჰუ და ალბანეთის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

ტირანა, 26 მაისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს დღის პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ეწვია სტალინის სახელობის საფეიქრო კომბინატს. დელეგაციას ახლდნენ ენვერ ხოჯა, მეჰმეტ შეჰუ, სპირო კოლეკა, გოგო ნუში.

დელეგაციამ დაათვალიერა სართავი, საქსოვი, გამოსაყვანი და ველვეტის ფაბრიკები. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ეცნობოდა წარმოების პროცესს, დაათვალიერა კომბინატის პროდუქცია, ესაუბრა მუშებს.

ამის შემდეგ კომბინატის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს ამხანაგებმა ენვერ ხოჯამ და ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ა. ი. მიკოიანმა მიიღო ინგლისის პარლამენტის წევრი იან მიკარდო

26 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა მიიღო ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ინგლისის პარლამენტის წევრი იან მიკარდო მისი თხოვნით და ჰქონდა მასთან საუბარი. იან მიკარდო საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით.

საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილემ ა. პ. ვოლკოვმა.

ფ. რ. კოზლოვის მომავალი გამგზავრების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში

როგორც ცნობილი გახდა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი ივნისის დამლევს გაემგზავრება შეერთებულ შტატებში საბჭოთა გამოფენის გახსნაზე ნიუ-იორკში. (საკდესი).

თბილისიდან გაემგზავრა პერუს კონგრესის წევრთა დელეგაცია

26 მაისს, საქართველოში სამი დღის ყოფნის შემდეგ, თბილისიდან გაემგზავრა პერუს კონგრესის წევრთა დელეგაცია.

დელეგაციის გასაცილებლად აეროდრომზე მეიკრიბა ქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი. პერუს პარლამენტარიების გასაცილებლად მივიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ა. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე რ. რ. დვალი, სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წევრი ქ. ბ. ლომთათიძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ი. ი. ჩხიკვიშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები.

აეროდრომზე პერუს კონგრესის წევრებს სიტყვით მიმართა ვ. დ. კუპრაძემ. მან უსურვა სტუმრებს ბედნიერი მგზავრობა, ქართველი ხალხის სალამი გადასცა პერუს თავისუფლებისმოყვარე ხალხს.

საპასუხო სიტყვაში პერუს კონგრესის დეპუტატმა, თვალსაჩინო ადვოკატმა რობერტო რამირეს დელ ვილარმა თქვა, რომ დელეგაციის წევრები არასოდეს არ დაივიწყებენ სტუმართმოყვარე საქართველოს და გადასცემენ პერუს ხალხს ქართველი ხალხის გულითად სალამს. (საკდესი).

აზერბაიჯანის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში

შრომის პოეზია, შრომის ადამიანები, რომელთა ხელით იქმნება ყოველივე საუკეთესო „მარადიული ცეცხლის ქვეყანაში“, აზერბაიჯანის წარმოუდგენლად მდიდარ მიწაზე, — ეი მთავარი რამ, რაც განასხვავებს რესპუბლიკის მხატვართა ნაწარმოებთ, რომლებიც წარმოდგენილია გამოფენაზე გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. გამოფენა გაიხსნა 25 მაისს.

ნავთობის მუშაკები, მებამბეები, ჩაის მკრეფავები, სარეწების ოპერატორები, ინჟინრები, მხატვრები, კომპოზიტორები— ესენი არიან ის ადამიანები, რომლებზეც მოგვითხრობს აზერბაიჯანის სსრ ფერწერის, სკულპტურის, გრაფიკის 120 ოსტატი. გვიზიდავს თანამედროვეთა ხასიათში ღრმა ჩაწვდომა — არის ეს ტ. სალახოვის „ნავთობის მუშაკი“, სულეიმან რაჰიმოვის პორტრეტი, რომელიც შთაგონებულად გამოუკვეთავს მარმარილოში პ. სიბსაის, ა. აბდულაევის კაეროჩკინის ნავთობის ოსტატის პორტრეტი, რომელიც რაღაცით მოგვაგონებს ჩრდილოეთის მეზღვაურებს.

მნახველი ხედავს, თუ როგორ გარდაქმნიან შრომის ადამიანები რესპუბლიკის სახეს — ნ. კასუმოვის „ილიჩის ყურის ამოვსება“, „მინგეჩაურჰესის ქვაბულში“, „იქნება ახალი კალაპოტი“ (ა. მამედოვის ოფორტების სერია), „ჩვენში კასპიის ზღვაზე“ (ზ. რაჰმან-ზადეს ავტოლითოგრაფიების სერია); პოეტურად, მრავალფეროვნად, მკაფიოდ წარმოგვიდგენენ სამყაროს აზერბაიჯანელი მხატვრები. ასეთია ბაჰლულ-ზადეს ნაწრომი „საღამო კასპიის ზღვაზე“, თ. გ. ჰაჯიევის „ხეები“ და ბევრი სხვა.

გამოფენა გვიჩვენებს აზერბაიჯანის თანამედროვე ხელოვნების რეალისტური მიმართულების უახლოეს სათავეებსაც.

დედაქალაქის კულტურული ცხოვრების დიდი მოვლენა უწოდეს გამოფენას სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. მიხაილოვმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა ს. გერასიმოვმა, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა ბ. იოგანსონმა. ისინი ლაპარაკობდნენ აზერბაიჯანელი მხატვრების შემოქმედებით ზრდაზე, უსურვეს მათ ახალი წარმატება შრომაში ხალხის საკეთილდღეოდ. აზერბაიჯანის სსრ კულტურის მინისტრმა მ. ყურბანოვმა, აზერბაიჯანის მხატვართა გამგეობის თავმჯდომარემ გ. ჰალქოვმა მადლობა გადაუხადეს თავიანთ რუს და განსაკუთრებით მოსკოველ ამხანაგებს ძმური დახმარებისათვის ეროვნული ხელოვნების განვითარებაში.

* * *

25 მაისს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოსკოველები შეხვდნენ დეკადის კიდევ ერთ მონაწილეს — აზერბაიჯანის სსრ უ. ჰაჯიბეკოვის სიმფონიურ ორკესტრს.

კოლექტივი, რომელიც შექმნა და, რომელსაც ხელმძღვანელობს აზერბაიჯანელი გამოჩენილი დირიჟორი ნიაზი აგერ უკვე 20 წელია, წარმოადგენს ეროვნული მუსიკის პროპაგანდისტს. მისმა წარმოშობამ ხელი შეუწყო აზერბაიჯანული სიმფონიზმის ფართოდ განვითარებას.

როგორც მთელი საბჭოთა ხელოვნების შესანიშნავ გამარჯვებას შეხვდნენ დ. ჰაჯიევის მეოთხე სიმფონიას („ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი“), რომლის მუსიკით განხორციელებულია რევოლუციისა და მისი დიდი ბელადის სახეები.

დიდი წარმატება ხვდა წილად პიანისტ ე. ნაზიროვას, რომელმაც ტემპერამენტით შეასრულა კონცერტი არაბულ თემებზე, რომელიც მან დაწერა თ. ამიროვთან ერთად. ეს ნაწარმოები, რომელშიც გამოყენებულია ნამდვილი არაბული მელოდიები, გამსჭვალულია განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთებით. კონცერტში აღიერდა მეორე შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებიც მიძღვნილია თავისუფლებისათვის ბრძოლისადმი, — სიუიტა ყარა ყარაევის ბალეტიდან „მეხის ბილიკით“. (საკდესი).

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

25 მაისს გაიმართა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ახლად არჩეული გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად არჩეულია კ. ფედინი.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებად არჩეულნი არიან: ი. აბაშიძე, ტ. აბდუმონუნოვი, ნ. ბაკანი, პ. ბროვკა, ა. გონჩარი, ნ. გრიბაჩოვი, მ. ჰუსეინი, ბ. ქერბაბაევი, ა. კორნეიჩუკი, ლ. ლეონოვი, ვ. ლუქსი, ა. ლუპანი, გ. მარკოვი, ე. მეექელიტისი, გ. მუსრეპოვი, ლ. ნოვიჩენკო, კ. ნუგმანოვი, ფ. პანფეროვი, ა. სალინსკი, ლ. სობოლევი, ა. სურკოვი, ი. სმუული, ნ. ტიხონოვი, ა. ტვარდოვსკი, მ. ტურსუნ-ზადე, ე. თოფჩიანი.

კავშირის გამგეობის მდივნად საორგანიზაციო საკითხებში არჩეულია კ. ვორონკოვი. „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარ რედაქტორად პლენუმმა დამტკიცა ს. ს. სმირნოვი.

მოდის ქართული ჩაი!

★ ★

იცნობდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში



გალი

ნელი შაკაიამ სოფელ აჩიგვარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 85 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 30 კილოგრამისა, **ეთერ დოჩიამ** — 92 კილოგრამი, **ბუცა ხურცილავამ** სოფელ შეშელეთის კოლმეურნეობაში მოკრიფა 112 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 30 კილოგრამისა, **ნაზიკო კვარაცხელიამ** — 109 კილოგრამი. **ნურა მარღანიამ** დიხაზურგის კოლმეურნეობაში ნაცვლად დღიური გეგმით გათვალისწინებული 30 კილოგრამისა მოკრიფა 102 კილოგრამი ჩაი.

ლანჩხუთი

ნინო გოგელიამ ქვემო აკეთის კოლმეურნეობაში მოკრიფა 135 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 30 კილოგრამისა; **ვერა გოგელიამ** — 102 კილოგრამი და დღიური დავალება 360 პროცენტით გაანაღდა. **ლამარა მორჩილაძემ** ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 101 კილოგრამი, ხოლო **ზალიკო ღლონტმა** — 122 კილოგრამი.

შეჯიბრებაში ჩაგმულ რაიონებში

25 მაისი

მახარაძის რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 565 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. სეზონის დაწყებიდან დღემდე სულ მოკრეფილი აქვთ 3.955 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ზუგდიდელმა მეჩაიეებმა 348 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, სულ რაიონში მოკრეფილია 3.364 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 739 ტონით მეტი.

ქობულეთის რაიონში მოკრიფეს 317 ტონა ჩაი, სულ რაიონში ფოთლის კრეფის დაწყებიდან მოკრეფილია 2.274 ტონა ჩაის ნედლეული.

გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების გოგოხიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები ახალგაზრდა მკრეფავს ნელი ჩაფავას ჩაის ფოთლის კრეფის ოსტატს ეძახიან. მან იკისრა თავის მოსაცელელ ნახევარ ჰექტარ ნაკვეთში ნაცვლად 2.250 კილოგრამისა 5.000 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაი მოკრიფოს.

ს ურ ა თ ზ ე: ნ. ჩაფავა.

ფოტო ი. ტერელაძისა.

შვიდწლედის ადამიანები

80.000 მანეთი — პირად ანგარიშზე



როცა დიდი წამოწყების ინიციატორებმა — ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა საერთოსაქართველო ვალდებულებად თვითეულ მომუშავეზე ასობით მანეთის ზეგეგმითი ეკონომიის მიღწევა იკისრეს, სიჩქარეთა კოლოფის საამქროს კოლექტივმა თავის მხრივ უფრო გადიდებული ვალდებულება აიღო, პირველსავე წელს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანოს 750.000 მანეთი.

დღემდე გაწეული მუშაობის შედეგები მოწმობენ, რომ საამქროს კოლექტივის სიტყვა თოლადივით მტკიცეა. უკვე დაზოგილია 308.000 მანეთი.

საამქროს კოლექტივის მიერ დაზოგილი თვლილი თანხის მეოთხეზეზე მეტი ამწყობ იოსებ ხაზარაძის ეკონომიის პირად ანგარიშზე მოდის.

ნოვატორი ამწყობი ორასზე მეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. მათი უმრავლესობა უკვე დანერგილია წარმოებაში. მარტო გასულ წელს დანერგილი წინადადებებით მან 85.000 მანეთის ეკონომია მისცა ქარხანას.

პატარა ცისფერ წიგნაკში, რომელსაც გაკეთებული აქვს წარწერა: „ავტოქარხნის მუშაკის ეკონომიის პირადი ანგარიში“ და რომელსაც ათასობით სხვა ავტომობილმშენებელთან ერთად ი. ხაზარაძეც ატარებს, მიმდინარე წელს შეტანილია 18 ჩანაწერი.

ყველა ეს ჩანაწერი ნოვატორი ამწყობის დაუცხრომელ შემოქმედებითს ძიებასა და აზრის გაბედულ შემართებაზე მეტყველებს.

აი პირველი ჩანაწერი. იგი გაკეთებულია 1959 წლის 13 მარტს.

სიჩქარეთა კოლოფის შუა ლილვის დამუშავებაზე წინასწარი ხეხვითი ოპერაციების გაუქმებითა და ახალი კონსტრუქციის სამარჯვის დანერგვით მიღწეულია 34.442 მანეთისა და 96 კაპიკის ეკონომია.

მეორე ჩანაწერიც იმავე დღეს არის შეტანილი:

პირველადი ლილვის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებით შემცირდა ერთი ხეხვითი ოპერაცია. ეკონომია 6.269 მანეთისა და 90 კაპიკს შეადგენს.

1959 წლის 20 მარტი. ეკონომიის ოსტატის წიგნაკში ჩნდება მესამე ჩანაწერი:

კბილსატეხი ჩარხების სიჩქარეთა კოლოფის მეორე, მესამე და მეხუთე სიჩქარის კბილანების კბილსატეხები, რაც ძვირფასი ფოლადისაგან მზადდება, გამოუყენებლად ეყარა საწყობში. ამასთან ამ კბილსატეხების გამოყენებისათვის საჭირო იყო ჩარხების სპეციალურად აწყობა. ი. ხაზარაძემ გადააწყო ჩარხები, გამოიყენა უქმად დაყრილი კბილსატეხები და ამ გზით საწარმოს 3.417 მანეთი ეკონომია მისცა.

ასე იწერება ნოვატორის სახელოვანი შრომის მაუწყებელი სტრიქონები...

კბილანამჭრელ ჩარხებზე ხრახნების დამჭერებად მან გამოიყენა და აღადგინა პნევმატური სამარჯვები, რაც ჩამოწერილი და გადაყრილი იყო. ამ გზით დაზოგა 2.550 მანეთი.

ი. ხაზარაძემ შეცვალა გადამრთველი ქუროს ღარის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი. ამით დაიზოგა ელექტროენერგია, მნიშვნელოვნად შემცირდა დეტალის დამუშავების სამანქანო დრო, ყოველივე ამის შედეგად კი მის პირად ანგარიშზე ჩაიწერა 8.900 მანეთი.

კბილანების დამყვან ანუ საპარსავ ჩარხზე პნევმატური დამჭერების დანერგვით, რაც ი. ხაზარაძის მიერ დამზადებული ახალი კონსტრუქციის სპეციალური პნევმატური დამჭერებით განხორციელდა, დაზოგილია 6.300 მანეთი.

ეკონომიისათვის საყოველთაოსახალხო ლაშქრობაში უმცირეს დანაზოგსაც კი მნიშვნელობა აქვს. ეს კარგად იცის ეკონომიის ოსტატმა. სწორედ ამით აიხსნება, რომ მის პირად ანგარიშზე ათასეულებთან ერთად გამოჩნდა მცირე თანხა — 14 მანეთი და 40 კაპიკი. ეს პირადად მან შეაკეთა საჰაერო პნევმატური წნიხის ონკანი, რომელსაც შეკუმშული ჰაერი ეპარებოდა. დანაკარგი აღიკვეთა.

ასე, მცირეედან და დიდიდან, უმნიშვნელო და ფრიად საგულისხმო წინადადებებიდან, რომლებიც ოპერატიულად დაინერგა წარმოებაში, დაგროვდა ზეგეგმითი ეკონომიის დიდი თანხა — 80.000 მანეთი.

ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ნოვატორმა ამწყობმა იოსებ ხაზარაძემ მხურვალედ დაუჭირა მხარი თბილისელ ელმავალმშენებელთა თაოსნობას. მისი გადაწყვეტილებაა ახალი წარმატებით შეხვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს, დაუცხრომლად იბრძოლოს ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპისათვის.

შ. ჯავახაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: ი. ხაზარაძე მუშაობისას.

ფოტო დ. ციტაშვილისა.

სკოლა — კოლმეურნეობა

ამას წინათ ასურეთის (თეთრი წყაროს) საშუალო სკოლაში მოსწავლეთა საერთო კრება გაიმართა. საკითხი სასკოლო კოლმეურნეობის გამგეობის არჩევნებს შეეხებოდა; აქვე უნდა მიეღოთ საკოლმეურნეო წესდებაც.

— ჩემი წინადადებაა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ავირჩიოთ ო. დარჯანია, — თქვა მეათეკლასელმა ნ. აბულაშვილმა. — მართალია, ის მერვე კლასის მოსწავლეა და შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ ჩვენ იმით მოვიგებთ, რომ კოლმეურნეობას ორ-სამ წელიწადს უცვლელი თავმჯდომარე ყოლება.

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. დაამტკიცეს ბრიგადებიც. ერთს მერვეკლასელი მ. ფონჯავიძე ჩაუყენეს სათავეში, ხოლო მეორეს — მეცხრეკლასელი ზ. არჩვაძე. ბრიგადებში გამოყვეს რგოლებიც, დაამტკიცეს წესდება.

რით დაიწყოთ? მარტო გამგეობის არჩევა და წესდების მიღება არ იკმარებდა. — უწინარეს ყოვლისა საჭიროა შექმნათ მეფრინველეობისა და მეღორეობის ფერმები და ძირითადად ამით დაკმაყოფილდეთ, — აცხადებდნენ ერთნი.

— ეს არ იკმარებს, მეშინდვრეობაც უნდა განვავითაროთ, — ამბობდნენ მეორენი. გადაწყდა ეთხოვათ ასურეთის კოლმეურნეობისათვის 3 ჰექტარი ნაკვეთი. ორიც ხომ თვითონ ჰქონდათ.

გაზაფხულის ხელსაყრელი ამინდების დადგომისთანავე სასკოლო ნაკვეთში გახურდა მუშაობა. მოსწავლეებმა 2 ჰექტარზე დათესეს სიმინდი, დანარჩენზე ჭარხალი, მზესუმზირა, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა კულტურები.

— თვალისჩინებით მოვიქცეთ ნათესებს, ვეცდებით მივიღოთ მაღალი მოსავალი, — ასეთი პირობა დადეს მოსწავლე კოლმეურნეებმა.

ახლა სასკოლო ეზოში შესვლისთანავე თვალში გეცემათ ორი ახალი ნაგებობა. ერთი მათგანი მეღორეობის ფერმაა, მეორე — მეფრინველეობის. ესენი თვით მოსწავლეებმა ააშენეს ტიპური პროექტების მიხედვით. ახალგაზრდა კოლმეურნეებმა იკისრეს წელს ჩააბარონ ორი ტონა ხორცი და 500 ფრთა ქათამი.

სწავლასა და შრომაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მოსწავლეებმა დ. ავიტისოვმა, რ. კაციტაძემ, ე. გონგაძემ, ე. მაცხაშვილმა, ი. გონგაძემ, ე. წიკლაურმა და სხვებმა. კოლმეურნეობაში გაერთიანებული 71 მოსწავლიდან ვერც ერთს ვერ ნახავთ, რომ აქტიურად არ მონაწილეობდეს შრომაში.

ზ. მერკვილაძე.

ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში

ერთი წრის შემაჯამებელ მეცადინეობაზე

✦

სამ თვეზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრის წევრები შეუდგნენ სკკპ XXI ყრილობის მასალების შესწავლას. პროპაგანდისტი კ. ქარჩავა თავიდანვე პასუხისმგებლობით მოეკიდა საპატიო მოვალეობის შესრულებას. ბეჯითმა შრომამ დადებითი ნაყოფი გამოიღო. შემაჯამებელ მეცადინეობაზე, რომელიც 19 მაისს გაიმართა, პროპაგანდისტის ყველა კითხვაზე მსმენელები ამომწურავ პასუხს იძლეოდნენ და ყრილობის მასალების ღრმა ცოდნას იჩენდნენ.

პირველი კითხვა ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და ტრანსპორტის მძლავრ აღმავლობას შეეხებოდა. პასუხისათვის ყველა მსმენელი მოემზადა, მაგრამ პროპაგანდისტმა სიტყვა კოლმეურნეობის მოაგარაკეშეს აკ. წყაროზიას მისცა.

—პარტია უცდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მრეწველობის და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის განვითარებას, რაც ჩვენი ქვეყნის ძლიერების საფუძველია,—ამბობს მსმენელი წყაროზია. — მრეწველობის საერთო პროდუქცია 1965 წელს 1958 წელთან შედარებით გაიზრდება დაახლოებით 80 პროცენტით, აქედან „ა“ ჯგუფში — წარმოების საშუალებათა წარმოება — 85-88 პროცენტით და „ბ“ ჯგუფში — მოხმარების საგნების წარმოება — 62-65 პროცენტით. მძიმე ინდუსტრიის განვითარების მაღალი დონე და სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვნად გაადიდებს მოხმარების საგნების წარმოებას. ამრიგად, გაუმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა.

შემაჯამებელ მეცადინეობაზე დიდი ადგილი დაეთმო შვიდწლედში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხს. ამ საკითხზე ისაუბრა მერვე საწარმოო ბრიგადის ბრიგადირმა ალ. ახალაიამ.

— შვიდწლედში განზრახულია სოფლის მეურნეობის განვითარების ისეთი დონის მიღწევა, — ამბობს ახალაია, — რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას მთლიანად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულზე.

პროპაგანდისტი სვამს კითხვას, თუ რა ღონისძიებებია დასახული საქართველოში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მიმდინარე შვიდწლედში.

— შვიდწლიანი გეგმა, — ამბობს წრის მოწინავე მსმენელი, მერგოლური ვლ. ქანთარია, — დიდ პერსპექტივებს სახავს საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის. საკმარისია იქნას, რომ 1965 წლისათვის დასახულია წარმოებულ იქნას 170.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაგრამ ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ საქართველომ შვიდწლედის ბოლოსათვის დაამზადოს 200 ათასი ტონა ჩაის ნედლეული და ამით მთლიანად დააკმაყოფილოს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ჩაიზე.

საინტერესო იყო კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირის ი. სხულუხიას გამოსვლა. თავისი მსჯელობა ამ საკითხზე მან კოლმეურნეობის შვიდწლიან გეგმას დაუკავშირა. — წელს კოლმეურნეობა, — თქვა მან, — ვალდებულების ჩათვლით 950 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს მოკრეფს. შვიდწლედის ბოლოს კი —1.550 ტონას. წელს კოლმეურნეობა საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე აიყვანს 5 ათას კილოგრამამდე. შვიდწლედის ბოლოსათვის კი—6 ათას კილოგრამამდე. კოლმეურნეობის ამ საერთო აღმავლობის ფერხულში მტკიცედ არის ჩაბმული ჩვენი ბრიგადა. წელს ჩვენი ბრიგადა მოკრეფს 100 ტონა ჩაის ფოთოლს, მათ შორის გეგმის ზევით 20 ტონას. საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე ავიყვანთ 6 ათას კილოგრამამდე. ამქამად ბრიგადა ყოველდღიურად 5-6 ტონა ხარისხოვან ფოთოლს კრეფს, რაც აღებული ვალდებულების პირნათლად შესრულების სრულ გარანტიას იძლევა.

შემაჯამებელმა მეცადინეობამ მიტ ად ცოცხალი ხასიათი მიიღო. წრის მსმენელები ყრილობის მასალებზე საუბარს მჭიდროდ უკავშირებდნენ კოლმეურნეობის საქმიანობას, მის კონკრეტულ ამოცანებს.

გ. ნოდია,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მართალი სიტყვის ძალა

იგი უკვე მეოთხედ აწყობდა საუბარს და მაინც თავისი თავის უკმაყოფილო იყო. საუბრის დროს ზოგჯერ გამბედაობა არ ყოფნიდა, სიტყვებს ვერ პოულობდა.

„ნეტავ რა მემართება — მეცადინეობისათვის გულდასმით ვემზადები, ვადგენ კონსპექტს, თვალსაჩინოებასაც ვიყენებ, მაგრამ მსმენელები მაინც სათანადოდ ვერ დავაინტერესე“, ფიქრობდა ლამარა დეისაძე.

ერთ დღეს მან თავისი გულისტკივილი აგიტკოლექტივის ხელმძღვანელს ხ. მიქუტაშვილს გაანდო. უამბო, როგორ ემზადებოდა საუბრებისათვის, გააცნო თავისი მუშაობის გეგმები. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ყურადღებით მოუსმინა და უთხრა:

— გეტყობათ, თქვენ ყველაფერზე ესაუბრებით მსმენელებს, მაგრამ გავიწყდებათ, რომ მათ ყველაზე მეტად თვით ჩვენი სოფლის, მშობლიური კოლმეურნეობის ხვალინდელი დღე, მისი მომავალი წინსვლისა და შენების პერსპექტივები აინტერესებთ. ყოველი საუბარი იხეუნდა ააგოთ, რომ ადამიანებმა მასში თავიანთი ცხოვრება დაინახონ.

დიდხანს ისაუბრეს აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა და აგიტატორმა. დამშვიდობებისას მიქუტაშვილმა ერთხელ კიდევ შეახსენა, რომ სემინარებზე ეკლო, აქ ბევრს ისწავლიდა მოწინავე აგიტატორების მუშაობის მაგალითით.

სემინარმა მართლაც ბევრი რამ მისცა ახალგაზრდა აგიტატორს. იგი ყურადღებით უსმენდა ხელმძღვანელსა და მოწინავე აგიტატორებს. ლ. დეისაძის უბის წიგნაკში საინტერესო შენიშვნები ჩნდებოდა.

აგიტატორის საუბრებს დღითიდღე ხალხი და სიცოცხლე ემატებოდა. თანდათან უფრო ნათლად, საინტერესოდ საუბრობდა იგი ჩვენი ქვეყნის ახალ-ახალ მიღწევებზე, მომავლის გეგმებზე. გზადაგზა კოლმეურნეებს საუბარს ჩამოუგდებდა მშობლიური კოლმეურნეობის ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე, მოპყავდა მრავალი საინტერესო, ცოცხალი ფაქტი.

მას შემდეგ, რაც ხაზგადაგებრივ მეურნეობას სათავეში ახალი თავმჯდომარე ჩაუდგა, კოლმეურნეობამ სწრაფად იწყო აღმავლობა, უკეთ მოეწყო შრომა, იმატა ხასოფლო - სამეურნეო კულტურების მოსავლიანობამ, მეცხოველეობის პროდუქტიულობამ. ყოველივე ამან გამოხატელება ჰპოვა აგიტატორის საუბრებში.

კოლმეურნეები შეეჩვივნენ კომკავშირელი გოგონასაგან ახალ-ახალი საინტერესო ამბების მოსმენას. დიდი ყურადღებით მოისმინეს ხაუბრები ჩვენი პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების შესახებ. კოლმეურნეები ხშირად მიმართავენ შეკითხვებით. ლამარაც დაუზარებლად უპასუხებს, ზოგჯერ ამ შეკითხვების საფუძველზე მთელ მორიგ საუბარს აგებს.

ლამარა დეისაძის სოფელში იცნობენ რომორც მოზარდი თაობის საუკეთესო აგიტატორი.

ლილი გამცემლიძე.

ქასპის რაიონი, სოფელი ხოვლე.

თივის აღება დაიწყო

წითელწყაროს რაიონში ოინჭის აღებას პირველი შეუდგა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა. აქ პირველ ორ დღეს ოინჭა გათიბეს 20 ჰექტარი. მეკამეჩეობის ფერმასთან უკვე 60 ტონა მაღალხარისხოვანი თივა დაზვინეს.

ცხვრის საზამთრო საძოვრებზე ნათესი ბალახების ხილოსის დამზადებას შეუდგნენ აგრეთვე ელდრის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადები. მათ უკვე დაამზადეს 30 ტონა ხილოსი.

რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე მალე მასობრივად გაჩაღდება თივის აღება.

გ. გოჩიტაშვილი.

ქარხანას აშენებს ახალგაზრდობა

სწორედ იქ, სადაც ახლა მცხეთის საკონსერვო ქარხნის ახალი კორპუსები დგას, ხუთიოდე თვის წინათ არაფერი არ იყო. ბევრს უკვირს ქარხნის ასეთი სწრაფი დაბადება, მით უმეტეს, რომ იგი არც თუ ისე მცირე საწარმოა, წელიწადში ოთხი მილიონი ქილა კონსერვი უნდა გამოუშვას.

მშენებლობაზე ასოცზე მეტი ახალგაზრდა მუშაობს. ბევრ მათგანს საშუალო განათლება აქვს. მშენებელთა სიყვარული დაიმსახურა მებეტონთა ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ავთანდილ სამაშვილი ხელმძღვანელობს. მოწინავეა დავით კოზმანაძის ბრიგადაც. კომკავშირელ ქალთა ბრიგადას რუსეთიდან ხუროშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის წევრები ამწყვანებენ ქარხნის ტერიტორიას. უკვე დარგულია 1.200 ალვისხე, ელდარის 500 ფიქერი, მრავალი ბუჩქი, დეკორაციული მცენარე.

მშენებლობის უფროსი სევერიან გორგაძე ამბობს:

— ახალგაზრდობა ჩვენი მთავარი ძალაა. ეძა ნახეთ, რამდენი რამ გაკეთდა მარტო ოთხ თვეში ახალგაზრდების ხელით — გამოყვანილ იქნა წყალსადენი 5 კილომეტრზე, აშენდა კონსერვის გადასამუშავებელი საამქრო, საქვაბე, მექანიკური სარეცხაო, საწყობის შენობა, ადმინ. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს ქარხნის მანქანა-დანადგარების მონტაჟი, მომავალში მოეწყობა მუშათა სასადილო, მედპუნქტი, საერთო საცხოვრებელი, მალე არაგვის ხეობაში მუშაობას შეუდგება ახალი საკონსერვო ქარხანა, რომლის შემოქმედია ახალგაზრდობა.

ა. თომაძე.

* * *

სურათზე: კომკავშირელი მშენებლები ვ. ფერხული (მარცხნივ) და თ. ქოქოსაძე მუშაობის დროს.

ფოტო მ. როსტიაშვილისა.

დიდი ლენინის დავალებით

ქართველი რევოლუციონერი სამუელ გუაჩიძე გულგარეთში

ბულგარეთის რევოლუციურ მუშათა მოძრაობას სახელოვანი გმირული ისტორია აქვს. 1891 წელს ბუზლუჯში გამართულ ყრილობაზე შეიქმნა ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის ორგანიზატორი დიმიტრი ბლაგოევი იყო. იმ დროს პარტიაში სულ რამდენიმე წევრი ირიცხებოდა. მაგრამ უკვე პირველი მსოფლიო ომის წლებში და განსაკუთრებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პარტია გაიზარდა და მძლავრ რევოლუციურ ძალად იქცა, რომელსაც შეეძლო გასძღოლოდა მუშათა კლასს პროლეტარული რევოლუციის ძნელ გზაზე.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის დროიდან სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, ბულგარეთის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ისტორიაა.

ბულგარეთის სოციალისტები მტკიცედ ეძებდნენ სწორ პოლიტიკურ ხაზს. სოლიდარობას უცხადებდნენ იმ პარტიებს, რომლებიც არ გადავარდნილან ნაციონალიზმში, გამოდიოდნენ ომის წინააღმდეგ, ამხილებდნენ მის იმპერიალისტურ ხასიათს. სწორედ რუსეთის ბოლშევიკებს ამ რთულ დროს მაღლა ეჭირათ მარქსისტული პარტიის დროშა.

ბულგარეთის ვიწრო სოციალისტების [1]) მისწრაფებამ ინტერნაციონალური თანამშრომლობისაკენ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა რუსეთის ბოლშევიკების და პირადად ვ. ი. ლენინის მხრივ. ორი მომმე პარტიის ურთიერთ კავშირი პირველი მსოფლიო ომის წლებში ღრმავდება და ფართოვდება. ამ პერიოდში ბოლშევიკები სულ უფრო ეფექტიან ზეგავლენას ახდენენ ვიწრო სოციალისტთა პარტიის ჩამოყალიბებაზე. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობენ ჩვენ მიერ აღმოჩენილი დოკუმენტები, რომლებიც დღემდე არ არის გამოქვეყნებული არც ბულგარეთში, არც სსრ კავშირში.

საინტერესოა დღემდე უცნობი ფაქტი, რომ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის აქტიურ წევრებს გზავნიდა ბალკანეთში და კერძოდ ბულგარეთში, რათა კავშირი დაემყარებინა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან და დახმარებოდა მათ მოეწყოთ თავიანთი საქმიანობა ბოლშევიკური პრინციპების საფუძველზე.

1913 წელს რუსეთის წითელ ჯვართან ერთად ბალკანეთში გაემგზავრა ბოლშევიკი-ლენინელი ექიმი ნ. ა. სემაშკო. იგი ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა იმ მიზნით, რომ კავშირი დაემყარებინა ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან. ამას მოწმობს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში არსებული დოკუმენტი, რომელიც დაწერილია სემაშკოს ხელით. სემაშკო იუწყება: „1913 წელს მე გადავსახლდი ბალკანეთში, სადაც სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას ვეწეოდი ჯერ სერბიაში, ხოლო შემდეგ ბულგარეთში“.

ნ. ა. სემაშკო ბულგარეთში დარჩა 1917 წლის ივლისამდე. ბულგარეთიდან იგი წავიდა ავსტრიაში, ხოლო იქიდან დაბრუნდა რუსეთში, რათა აქტიური მონაწილეობა მიეღო რევოლუციაში.

სამწუხაროდ, ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივი პოლიციამ დაწვა. იგი რომ გადარჩენილიყო, უეჭველია ჩვენ გვექნებოდა საინტერესო დოკუმენტები ბულგარეთში სემაშკოს მოღვაწეობის შესახებ. ეს მოღვაწეობა დღემდე თითქმის გამოუკვლეველი რჩება, უმთავრესად იმის გამო, რომ არ არის საარქივო მასალები.

გაცილებით უფრო სრულად წარმოდგენილია მეორე ბოლშევიკ-ლენინელის — ს. გ. ბუაჩიძის მოღვაწეობა ბულგარეთში. ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის არქივებში ჩვენ აღმოვაჩინეთ რამდენიმე გამოუქვეყნებელი დოკუმენტი, რომლებიც გვეხმარება ორი პარტიის თანამეგობრობის ამ დიდმნიშვნელოვანი ფურცლების აღდგენაში. გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ლენინიზმით, ლენინური პროგრამით, სტრატეგიითა და ტაქტიკით ვიწრო სოციალისტთა შეიარაღების საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ს. გ. ბუაჩიძეს.

ნაცადი რევოლუციონერი-ბოლშევიკი სამუელ გრიგოლის-ძე ბუაჩიძე, რომლის პარტიული სახელწოდება იყო სამბუა ნოე, ბულგარეთში 1914 წელს გაგზავნა ვ. ი. ლენინმა. 1914 წლის ზაფხულში ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდივანმა გ. კირკოვმა გამოუძახა სოფიის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მდივანს ტ. დანაილოვს და დაავალა მას მოენახა საიმედო კონსპირაციული ბინა პასუხისმგებელი პარტიული ფუნქციონერისათვის, რომელიც არალეგალურად ჩამოვიდოდა საზღვარგარეთიდან. ასეთი ბინა მონახულ იქნა ვესლეცის ქუჩაზე № 63 (ახლა № 53) სახლში. სამი თვის შემდეგ ტესნიაკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ნიკოლა პენევმა აცნობა პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობას, რომ სოფიაში არალეგალურად ჩამოვიდა სამუელ გრიგოლის-ძე ბუაჩიძე. იგი რამდენიმე თვეს არალეგალურად ცხოვრობდა ამ მისამართზე, სანამ ვასილ მულეტაროვმა არ უშოვნა მას ყალბი დოკუმენტები, რომლებიც მას, ლეგალურად ცხოვრების საშუალებას აძლევდა.

შემთხვევით იყო ბუაჩიძე გაგზავნილი ბულგარეთში? რა თქმა უნდა, არა. 1914 წელს ევროპა პირველი მსოფლიო ომის ხანძარში იყო გახვეული. II ინტერნაციონალის პარტიები უძლურნი აღმოჩნდნენ ებრძოლათ ომის წინააღმდეგ; პირიქით, მათ აკურთხეს ომი, ეხმარებოდნენ იმპერიალისტებს ნაციონალისტური იდეების. გავრცელებაში. მსოფლიო პროლეტარიატისათვის იმ საბედისწერო დროს ვ. ი. ლენინმა და ბოლშევიკებმა იკისრეს ისტორიული ამოცანა — გაეერთიანებინათ საერთაშორისო პროლეტარიატის ძალები, შეექმნათ ახალი, „სამშობლოს მხსნელთა“ გან“ თავისუფალი ინტერნაციონალი. ვიწრო სოციალისტები წამყვანი პარტია იყო ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის. და ვ. ი. ლენინს შემთხვევით როდი გამოუგზავნია ბულგარეთში ნაცადი რევოლუციონერი ს. გ. ბუაჩიძე. ამოცანად იყო დასახული ვიწრო სოციალისტებისათვის დახმარების გაწევა იმაში, რომ დაეძლიათ მათი საქმიანობისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობა, დასდგომოდნენ ბოლშევიკურ გზას, რათა თავის მხრივ დახმარებოდნენ ბალკანეთის სხვა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს წასულიყვნენ ამავე გზით.

ბულგარეთში ს. გ. ბუაჩიძის ჩამოსვლის მიზნებს მოწმობს მრავალი დოკუმენტი, კერძოდ მისი წერილები ვ. ი. ლენინისადმი, რომელიც იმ დროს შვეიცარიაში იმყოფებოდა. ბუაჩიძე არა მარტო აწვდიდა ლენინს ცნობებს ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიების მდგომარეობის შესახებ, არამედ უგზავნიდა მას იმ პარტიული მუშაკების მისამართებსაც, რომლებთანაც ლენინს კავშირი უნდა დაემყარებინა. ეს მისამართები მას შეეძლო მიეღო ვიწრო სოციალისტების პარტიისაგან. იგი პირადად იყო, თუ საბერძნეთში არა, რუმინეთსა და სერბიაში, ან წერილობითი კავშირი ჰქონდა ამ პარტიებთან. უფრო ლოგიკური იქნება, რომ სამივე ვარაუდი ერთად მივიღოთ. საუბრიდან, რაც გვქონდა დღემდე ცოცხალ ამხანაგებთან, რომლებიც პასუხს აგებდნენ ბუაჩიძის დამალვისა და უშიშროებისათვის, — ტ. დანაილოვთან, ც. ხრისტოვასთან, დ. კიჯეიკოვთან — და სოფიაში პარტიულ არქივში ჩვენ მიერ აღმოჩენილი მასალებიდან ცხადი გახდა, რომ ვიწრო სოციალისტთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წინასწარ ჰქონდა მიღებული ცნობა ბულგარეთში პასუხისმგებელი ფუნქციონერის ჩამოსვლის შესახებ და პარტიის სოფიის საქალაქო კომიტეტი პასუხისმგებელი იყო მისი დამალვისა და მისი მდგომარეობის ლეგალიზაციისათვის.

ჯერ კიდევ თავისი მდგომარეობის ლეგალიზაციამდე ბუაჩიძე დაუკავშირდა ვიწრო სოციალისტების ხელმძღვანელებს დ. ბლაგოევს, გ. კირკოვს, ქრ. კაბაკჩიევს, ვ. კოლაროვს, გ. დიმიტროვს, ხანგრძლივი საუბრები ჰქონდა ჰათთან, მართავდა კამათს პარტიის პოლიტიკის ძირეულ საკითხებზე. იგი ესწრებოდა არა მარტო ტესნიაკების, არამედ აგრეთვე ბულგარელი ოპორტუნისტების — ფართო სოციალისტების კრებებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, პარტიულ ყრილობებს.

აი რას სწერს ბუაჩიძე ლენინს „1 მაისმა ბულგარეთში ბრწყინვალედ ჩაიარა. როგორც ამას ა დართული სტატიიდან დაინახავთ“. „მიტინგს (ლაპარაკია ბალკანეთის სოციალისტური მიტინგის შესახებ, რომელიც სოფიაში გაიმართა 1915 წლის 22 თებერვალს) დიდძალი ხალხი დაესწრ და ბალკანეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი აღფრთოვანებით შეერთდნენ და ერთ რევოლუციურ კალაპოტში გააერთიანეს ყველა რევოლუციურ ცხოველმყოფელი წყარო, რომლებიც ბალკანეთში ერთმანეთისგან ხელოვნურად დაშორებულ პროლეტარულ ერთეულთა გულსა და გონებაში ჩქეფს“...

ვიწრო სოციალისტთა ერთ-ერთ ხელმძღვანელთან სტანკე დიმიტროვთან ერთად ბუაჩიძემ მოიარა ბულგარეთის მთელი რიგი ქალაქები — პლოვდივი, რუსე, ბა როვო, ვარნა, სლივენი და სხვ.

თავის ერთ-ერთ წერილში ვ. ი. ლენინისადმი იგი აღნიშნავ მასების მაღალ რევოლუციურ აქტივობას. „რაც შეეხება ქვეყ ფენებს, — ნათქვამია წერილში,— აი სად იქნებოდა კარგი გ მოჩენილიყვნენ არა მინისტრები ან პლეხანოვის, თუნდაც კაუცკ ტიპის პატრიოტი-სოციალისტები, არამედ ყველა (სამარცხვ ნოდ) მომლოდინე „მაჩანჩალა“ როგორიც არიან ოგეევები და ა სელროდები: აი სად ასროლინ დნენ მათ კუდით ქვას“.

ს. გ. ბუაჩიძის მოღვაწეობ ბულგარეთით როდი იყო შემოფ

წარმოეგა და მომხმარებელი

მანქანას რომ ლაპარაკი შეეძლოს...

გაქნილი ფერმის გამგე თავს მამა აბრამის ბატკანივით უცოდველად უხატავს რევიზორს:

— კი, ბატონო, ქათმები ნამდვილად მელიებმა შეჭამეს.

და ნათქვამს რომ მეტი დამაჯერებლობა მისცეს, ვიშვიშებს:

— დამლუპა კაცი იმ შეჩვენებულმა, ოჯახი ამომიგდო.

ქათმები ბრაზისაგან კრიახობენ, მაგრამ რევიზორს მათი ენა არ ესმის...

ასე მოხდა ახლაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ პურთან გვაქვს საქმე, და რაკი მელას ვარიანტი ამ შემთხვევაში არ გამოდგება, თბილისის № 3 პურის ქარხნის ხელმძღვანელებმა ქურდობა... მანქანას დასწამეს.

საქმე კი აი რაში იყო:

მომხმარებელ ა. ხალოიანს თბილპურეაჭრობის № 74 მაღაზიაში შეძენილი პური, რომელიც ცალი სამი მანეთი ღირს, ხელში ემჩატა, სასწორზე დადო, 150 გრამი აკლდა.

— პურს წონაში აკლია, გამომიცვალეთ, — მიმართა მან გამყიდველ ე. სისველაშვილს.

— რა გამოგიცვალო, ჩემი გამომცხვარი ხომ არ გგონია, წადი და ქარხანას მიაკითხე, — უკმეხად უპასუხა მან მომხმარებელს.

მაღაზიაში პურის გამოცვლისათვის მართლაც ამაოდ დავრეგოდნენ გამყიდველიც და მომხმარებელიც, რადგან 14 მაისს თბილისის № 3 პურის ქარხნიდან მიღებული 72-პროცენტიანი ცალობით გასაყიდი პური ყველა არასტანდარტული იყო. შემოწმებული 155 პურიდან თვითეულს წონაში 90-120 გრამი აკლდა.

ცვლის უფროსი ქ. ჩაჩანიძე თავის გასამართლებლად „ობიექტურ“ მიზეზებს იშველიებს: ქარხანა რემონტის შემდეგ ახალი გადაცემული იყო საექსპლოატაციოდ, ამიტომ მანქანები ჯერ კიდევ არ არის წესრიგში მოყვანილიო.

თავის დაძვრენაში ცვლის უფროსს არც მწონავ-წუნმდებელი ნ. ბიგვავა ჩამორჩა: პურს თვალდათვალ ხომ ვერ ავწონიდი, სასწორი გატეხილი იყოო.

ასე რომ თბილისის № 3 პურის ქარხანაში ერთბაშად „მოიშალა“ ცომის საჭელი მანქანა, „გატყდა“ სასწორი და პურის ფქვილის ისეთი ბუღი დატრიალდა, რომ ძნელი გასარჩევი იყო, ვინ რა წაიღო, ვინ რა წაგლიჯა მომხმარებელს.

ჯოხი კი მანქანაზე გადატეხეს, რადგან მას ლაპარაკი არ შეუძლია და თავს ვერ გაიმართლებს.

საბრალო მანქანა!.. მას რომ ლაპარაკი შეეძლოს...

ა. ხუციშვილი,
ბ. ბახტურიძე.

მოკლე სიგნალები

ვახარაძის გარეუბნის სოფლის კოოპერატივი ახალ მხატვრულ, პოლიტიკურ და სახოფლო-სამეურნეო ლიტერატურას არ იღებს. აქ სულ არ მოიპოვება წიგნები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.

ე. გოგიბერიძე.

• • •

სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაშის ელექტროფიცირებას და რადიოფიცირებას ყურადღება არ ექცევა. ერთი წლის წინათ ყაზბეგის უბანში ჩაყარეს ელექტრობოძები, მაგრამ სახოფლო საბჭო მხოლოდ ამით დაკმაყოფილდა.

ი. ახვლედიანი.

• • •

ჩხოროწყუს რაიონის ახუთისა და ჭოლის სახოფლო კლუბები ცუდად მუშაობენ. არ ეწყობა შეხვედრები შრომის მოწინავე ადამიანებთან, არ იმართება კითხვა-პასუხის საღამოები, მოწყობილი არ არის გამოფენები, უჩვენებენ ძველ კინოფილმებს.

ი. ნაჭყებია.

• • •

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ობჩაში არის ისტორიული ძეგლი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „ხობის საყდარს“ უწოდებენ. ეს ძველი ტაძარი თანდათანობით ზიანდება, უკვე ჩამონგრა ქვის თაღოვანი სახურავი, ირეცხება კედლებზე შესრულებული მხატვრობა. იგი კარგავს პირვანდელ სახეს, მზრუნველი კი არა ჩანს.

თ. მელაშვილი.

წერილების კვალდაკვალ

ფიზიკელს იშვიათად ნახავთ, მოქეიფე, დარდიმანდი კაცია **სოფელ აბასთუმნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კაკაკაშვილი.** კოლმეურნეობაში კი ჩაშლილია შრომის ორგანიზაცია, არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები, უხეშად არღვევენ არტელის წესდებას, ანიავებენ საკოლმეურნეო ქონებას, — გვწერდა სოფლკორი.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კპ ადიგენის რაიკომს, საიდანაც გვატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ა. მ. კაკაკაშვილი განთავისუფლებულია კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან, ხოლო რაიკომმა მას მკაცრი პარტიული სასჯელი დაადო.

• • •

წულუკიძის რაიონის **ძეძილეთის** სასოფლო **საბჭოს** აღმასკომისა და ამ საბჭოში შემავალ კოლმეურნეობათა გამგეობების მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ შემოსული მამხილებელი წერილი ზომების მისაღებად რედაქციამ პარტიის წულუკიძის რაიკომს გადაუგზავნა.

ამასთან დაკავშირებით წულუკიძის პარტრაიკომიდან გვატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ძეძილეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. მეძველია, მდივანი ბ. გიორხელიძე, სოფელ გელავერის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გიორხელიძე განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან, ხოლო ძეძილეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. ჩიქვანს პარტიული სასჯელი დაედო.

დასახულია ღონისძიებანი სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და კოლმეურნეობათა გამგეობების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

თაოსნობა, მაგალითი

მეშახტეთა სასწავლო კომბინატი

ტყიბული. (სპეც. კორ.). თვრამეტ წელზე მეტია აქ არსებობს სასწავლო-საკურსო კომბინატი. ამ ხნის განმავლობაში იგი მეშახტეთა კადრების ნამდვილ სამეცნიერო-ტექნიკურ ციხესიმაგრეს გადაქცეულა. მომავალ მეშახტეებს აქ სამთო საქმის თეორიულ კურსს უკითხავენ გამოცდილი სამთო ინჟინერები. საწარმოო სწავლება მინდობილი აქვთ ისეთ გამოცდილ მეშახტეებს, როგორიც არიან მნგრეველები ხ. ხოფრომაძე, კ. კუბლაშვილი, ი. ტუკვაძე, მებიგე ე. ცნობილაძე, გამყვანი ა. ვარდოსანიძე და სხვ. სასწავლო-საკურსო კომბინატმა ტყიბულის შახტებს რამდენიმე ათასი კვალიფიციური მუშა მოუმზადა, ბევრი მათგანი ამჟამად წარმოების ნოვატორია და მუშაობაში მაღალ მაჩვენებლებს აღწევს.

ბალმა, ბაგნოლია, დაუნა...

გურჯაანი. (სპეც. კორ.). ქალაქის ბალებისა და სკვერების რიცხვი წლითიწლობით მრავლდება, განიერი ქუჩების გაყოლებით გაზონები მოეწყო. წელს აქ დაირგო ისეთი მცენარეები, რომლებიც გურჯაანელებისათვის უცხო იყო. ბალები, სკვერები და გაზონები დაამშვენა ბათუმიდან მიღებულმა ბალმებმა, დრაცენამ, მარადმწვანე მუხებმა, მაგნოლიებმა, დაფნებმა, კრიპტომერიამ და სხვ. ბევრგან დარგეს აგრეთვე წინანდლის დეკორაციული პარკიდან შემოტანილი ბუჩხუსა.

გურჯაანელებმა წელს გზებისა და ხევების გაყოლებით ნაყოფის მომცემი მცენარეების დარგვაც დაიწყეს. ბაკურციხიდან ბადიაურამდე გზატკეცილის ორივე მხარეს მაღალტანიანი კაკლის ხეები დარგეს. გზები კაკლებით დაამშვენეს აგრეთვე კარდანახის, შრომის, ჩუმლაყის, ველისციხისა და სხვა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ხულდარგულია ექვსი ათას ძირზე მეტი კაკალი. ახალი ნარგავები სიხტემატურად ირწყვება.

რამდენიმე წლის შემდეგ გზები კაკლების ხეივანით დაიფარება. იგი ბად-ვენახებსა და ველმინდვრებს დაიცავს ქარებისაგან.





შოვი

საქართველოს კურორტებზე

ზემო რაჭაში პატარა, უძველეს ლამაზ ქალაქ ონიდან ოცდაათი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს წყვიანი ტყის მსივით, ალპური მდელოებით, მაღალი მთებითა და მუდამ თოვლით დაფარული ყინვარებით გარშემორტყმული საქართველოს უმშვენიერესი კურორტი შოვი. თვალწარმტაცი ბუნებრივი სილამაზე, ყინულოვანი მთებიდან მოჩუხჩუხე ანკარა მდინარეები, ათასწლოვანი ფიჭვისა და ნაძვის ხეებით დაბურული ტყეები, კაშკაშა ცა, ძლიერი ირადიაციის მქონე მზე და სასიამოვნო გემოს მრავალი მინერალური წყალი საუკეთესო პირობებს ქმნიან ადამიანის დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის.

შოვი მაღალმთიანი კურორტია, იგი ზღვის დონიდან 1.600 მეტრ სიმაღლეზეა. კურორტი ბუნებრივად დაცულია ქარებისაგან. აქ მრავალი მშრომელი მოდის დასასვენებლად ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, ავრეთვე დემოკრატიული ქვეყნებიდან.

შოვში სეზონი იწყება ივნისის პირველ რიცხვებში და გრძელდება სექტემბრის ბოლომდე. კურორტს ემსახურება ერთი სანატორიუმი ორი კორპუსით, პანსიონატი და ერთი დასასვენებელი სახლი. შოვს აქვს აეროსოლარიუმი, რენტგენის, ფიზიო, სამკურნალო ფიზკულტურის, სტომატოლოგიური კაბინეტები და კლინიკური ლაბორატორია.

შოვი მაღალი სამკურნალო თვისებების მქონე კურორტია. მისი ჰავა შესანიშნავად მოქმედებს მრავალი დაავადების, მათ შორის ბრონქიალური ასთმის, ქრონიკული ბრონქიტების, ბრონქო ექტაზიების, ფილტვების ემფიზემის. მშრალი და მესოკრესანი ბალეოლოგიური ბალეოლოგიური ბალეოლოგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირ-ინგლისის სავაჭრო შეთანხმება

25 მაისს მოსკოვიდან გაემგზავრა დიდი ბრიტანეთის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვაჭრობის მინისტრი სერი დევიდ ეკლსი.

ინგლისის სავაჭრო დელეგაცია მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა სავაჭრო დელეგაციასთან, რომლის შედეგადაც ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საქონელბრუნვის შესახებ ორივე ქვეყანას შორის. (საკდესი).

* * *

24 მაისს მოსკოვში საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დავალებით და ვაჭრობის მინისტრმა სერმა დევიდ ეკლსმა დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიის მისი უდიდებულესობის მთავრობის დავალებით ხელი მოაწერეს ხუთი წლის სავაჭრო შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის საქონელ-ბრუნვის შესახებ. შეთანხმება ძალაში შედის დაუყოვნებლივ.

ამ შეთანხმებით, რომლის დადებაზე მოლაპარაკება წარმოებდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით, სრულდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰაროლდ მაკმილანის ერთობლივი განცხადება მათი ამასწინანდელი მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ვაჭრობის შემდგომი გადიდების არსებულ შესაძლებლობათა შესახებ.

მიაჩნიათ რა, რომ ვაჭრობის შემდგომი განვითარება სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის შეესაბამება ორივე ქვეყნის ურთიერთ ინტერესებს, ორივე მთავრობამ გადაწყვიტა შექმნან საფუძველი, რომელზეც, თუ ორივე მხარის კეთილი ნება იქნა, შესაძლებელი გახდება ასეთი ვაჭრობის გადიდება წლითიწლობით. შეთანხმება შეიცავს შემდეგ ძირითად დებულებებს:

ორივე მთავრობა მოელის შეთანხმების მოქმედების პირველი წლის განმავლობაში, 1959 წლის 1 ივლისიდან 1960 წლის 30 ივნისამდე ვაჭრობის მნიშვნელოვან გადიდებას ორივე მიმართულებით.

ჯერ ერთი, მოსალოდნელია შემდგომი გადიდება დიდი ბრიტანეთისათვის როგორც ტრადიციული, ისე სხვა საბჭოთა საქონლის მიყიდვა, მათ შორის ისეთებისა, როგორიც არის მარცვლეული, ხეტყე და ხეტყის მასალები, ცელულოზა, მანგანუმის მადანი, აზბესტი, ფეროშენადნობები, ფერადი ლითონები, მინერალური სასუქები და სელი.

მეორე, მოსალოდნელია, რომ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები გააფართოებენ მნიშვნელოვან შეკვეთებს ინგლისურ საქონელზე, მათ შორის ქიმიური მრეწველობის მოწყობილობაზე (კერძოდ, სინთეზური ბოჭკოებისა და მასალების დასამზადებლად); ცელულოზა — ქაღალდის მრეწველობის მოწყობილობაზე; სამკედლო-საწნეხ და სამსხმელო მოწყობილობაზე; ლითონდამუშავებელ ჩარხებზე; ელექტროტექნიკური და კაბელის მრეწველობის მოწყობილობაზე; საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის მოწყობილობასა და ხელსაწყოებზე; სატუმბავ-საკომპრესორო და სამაცივრო მოწყობილობაზე; შაქრის ქარხნებისა და სხვა სახეობის კვების მრეწველობის მოწყობილობაზე; სამშენებლო, მსუბუქი და სხვა დარგების მრეწველობის მოწყობილობაზე, აგრეთვე სამრეწველო და ნედლეულ საქონელზე, რომლებსაც ჩვეულებრივ ინგლისის ფირმებისაგან ყიდულობენ.

მესამე, თვითეული მთავრობა შექმნის ახალ შესაძლებლობას სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობისათვის. შეთანხმების მოქმედების პირველ წელს დაწყებება დაახლოებით 2 მილიონი გირვანქა სტერლინგის დამატებითი ქვოტები თვითეული მხრიდან, მათ შორის ზოგიერთი ახალი სახეობის საქონლის ქვოტები. სსრ კავშირიდან გაიტანენ მსუბუქ ავტომანქანებს, ფოტოაპარატებს, საათებს, ასანთს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, შინამრეწველურ ხალჩებს, მედიამერტებს, სათამაშოებს, შინამრეწველურმსატვრელ ნაწარმს, დაკონსერვებულ კიბორჩხალს, არაყს, ღვინოებსა და კონიაკებს. დიდი ბრიტანეთიდან შემოტანილი საქონელი შეიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებებს; საფეიქრო ნაწარმს. აქედან მზა ტანსაცმელს, ბაჭვის ქსოვილებს, ტრიკოტაჟსა და წინდებს; ფეხსაცმელს; იატაკების საფარს; ფაბრიკი, ხალიჩებს; ტყავის ნაწარმს, მედიკამენტებს, ფოტომასალებს, სასპორტო საქონელს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს. სათამაშოებს, დამარილებულ ჭაშაყსა და თევზის ფილეს.

ორივე მთავრობის წარმომადგენლები ყოველწლიურად შეხვდებიან ერთმანეთს რიგრიგობით ლონდონსა და მოსკოვში შეთანხმების შესრულების მსვლელობის განსახილველად და ორივე ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისების მიზნით ღონისძიებათა შესამუშავებლად.

შეთანხმება აგრეთვე შეიცავს ღებულებას, რომ ორივე ქვეყნის ორგანიზაციები და ფირმები ერთმანეთს გაუცვლიან სამრეწველო-ტექნიკურ ინფორმაციას.

შეთანხმება ითვალისწინებს, რომ არა უგვიანეს, ვიდრე 1960 წლის პირველი თებერვისა ორივე მთავრობა დაიწყებს მოლაპარაკებას ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ ხელშეკრულების დასადებად, რომელიც შეცვლის 1934 წლის დროებით სავაჭრო შეთანხმებას.

ორივე მთავრობა გააკეთებს ყოველივე წესაძლებელს, რათა დადებული შეთანხმება იყოს ორივე ქვეყნის ხალხთა სასარგებლო და ხელი შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებას.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, საბჭოთა დელეგაციის მეთაურის მოადგილე, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმაკინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ს. ა. ბორისოვი, და ი. ფ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის საგარეო წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში ვ. ა. კამენსკი, საბჭოთა დელეგაციის წევრები და ექსპერტები; ინგლისის მხრივ—დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერ პატრიკ რიალი, ინგლისის დელეგაციის მეთაურის მოადგილე, ვაჭრობის მინისტრის მუდმივი მოადგილე სერ ფრანკ ლი, ინგლისის დელეგაციის წევრები და ექსპერტები.

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ნ. ს. პატოლიჩევმა, სერმა დევიდ ეკლსმა და ა. ი. მიკოიანმა სიტყვები წარმოთქვეს.

ხელშეკრულების შეთანხმებული პროექტი.

კ. ჰერტერმა, რომელიც გამოვიდა, როგორც აღინიშნა, ინგლისის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, განაცხადა, რომ დიდი ყურადღებით მოისმინა ა. ა. გრომიკოს განცხადება და სურს რამდენიმე შენიშვნა გააკეთოს ამ განცხადების ერთი ნაწილის შესახებ, იტოვებს რა უფლებას ხვალინდელ სხდომაზე გააკეთოს შემდგომი შენიშვნები.

კ. ჰერტერმა თქვა, რომ არ ეთანხმება საბჭოთა დელეგაციის განცხადებებს, რომლებშიც, როგორც მან თქვა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა აღწერილია როგორც რევანშისტული და მილიტარისტული მთავრობა, რომელიც მიზნად ისახავს გამოიწვიოს მესამე მსოფლიო ომი.

ომის „დამამტკიცებელ საბუთად", თითქოს გერმანიის ფედეროციული რესპუბლიკა ახორციელებდეს მძვიდობისმოყვარეულ პოლიტიკას, კ. ჰერტერმა მოიყვანა ათი ფაქტები, ათამედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძთავრობის მხოლოდ ზოგიერთი სიტყვიერი განცხადება, რომ ეგი ხელმძღვანელობს სუფთალით შენარჩუნებულ იქიას მძვიდობა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მესვეურ ნატოს აგრესიულ სამხედრო ალიანსი კ. ჰეტერმა დასახა როგორც ბონის მთავრობა მშვიდობისმოყვარეობის დადასტურება. რაც შეეხება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, რომლებიც ეაასიათებენ მილიტარისტული და რევანშისტული ძალების განუწყვეტელ ზოდას დასავლეთ გერმანიაში, მისი ტერიტორიის გადაქცევას დასავლეთის სახელმწიფოთა ატომურ და რაკეტულ ბაზად, ატომგულისა და რაკეტული იარაღით ბუდესვერის აღჭურვაც, რაც გრძელდება და სულ უფრო ძლიერდება, ჰერტერმა დუმილით აუარა მათ გვერდი, ოამდენადაც ამ ფაქტების უარყოფა შეუძლებელია.

მ. კუმ დე მიურვილმა, რომელმაც სიტყვა აეოტერის შემდეგ აიღო, განაცხადა, რომ საფრანგეთის დელეგაცია მტოულად არ ეპყრობა გერმანიისთან სანავო ხელშეკრულების დადებას, მაგრამ საფრანგეთის დელეგაციას მიაჩნია, რომ საბჭო ხელშეკრულება უნდა დაიდოს ერთიან, გაერთიანებულ გერმანიასთან. საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა სოლიდარობა გამოთქვა კ. ჰერტერის განცხადებასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკის შესახებ და გამოაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვერ ხედავს იმ ტენდენციებისა თუ მისწრაფვის რაიმე კვალს, რომლებზეც საბჭოთა დელეგაცია ლაპარაკობდა, ე. ი. მილიტარიზმისა და რევანშიზმის კვალს. იგი უსაბუთოდ ამტკიცებდა, თითქოს სსრ კავშირი საბჭო ხელშეკრულების თავისი პროექტის შეტანით ისწრაფვოდეს კონტროლი დაუწესოს დასავლეთ გერმანიასადმი.

უპასუხა რა კ. ჰერტერის გამოსვლას, ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ ის გაოგნებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა მეტად აქტიურად დაიცვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკა, სრულიადაც არ აკვირვებს საბჭოთა დელეგაციას, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების, ისე როგორც ნატოს მონაწილე სხვა ქვეყნების მთავრობებს აქვთ საერთო პოლიტიკა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა თათბირს მოიგონა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უხეშად დარღვეულია სამოკავშირეო შორისი შეთანხმებანი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიდო და რომლებიც ითვალისწინებენ გერმანიის მშვიდობისმოყვარულ, დემოკრატიულ განვითარებას. ყველას თვალწინ წარმოიშვა ბუდესვეროის შეიარაღება ატომური და რაკეტული იარაღითაც. კ. ჰერტერმა, განაცხადა ა. ა. გრომიკომ არ მოიხსენია ის ფაქტი, რომ დასავლეთი გერმანია გადაკვეთილია დიდ რაკეტულ და ატომურ ბაზად, რომ ევროპის ყველა ხალხის თვალწინ სულ უფრო მზარდი ძალით ნერგავენ რევანშისტულ განწყობილებას დასავლეთ გერმანიაში.

ცხადყო რა კუმ დე მიურვილის მტკიცება არეული უსაფუძვლობა, თითქოს სსრ კავშირი ისწრაფვოდეს „კონტროლი დაუწესოს" დასავლეთ გერმანიას, ა. ა. გრომიკომ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქიროა კონსტრუქციულად მივუდგეთ გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების საკითხის გადაჭრას, რათა გამოვძებნოთ პოზიციების დაახლოების შესაძლებლობა.

ს. ლოდის მოკლე სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 26 მაისს.

ავღანელი ხალხის დღესასწაული

დღეს ავღანელი ხალხი ზეიმით აღნიშნავს ავღანეთის დამოუკიდებლობის 40 წლისთავს. ავღანეთის თავისუფლება მოპოვებულ იქნა ინგლისელი კოლონიზატორების დამარცხების შედეგად 1919 წელს. მას შემდეგ ავღანეთი თანმიმდევრულად მიდის თავისი დამოუკიდებლობის, ეროვნული ეკონომიკის განმტკიცების გზით.

დღითიდღე ვითარდება მრეწველობა. თუ წინათ ქალაქებში თითქმის არ იყო სამრეწველო საწარმოები, ამჟამად არის თანამედროვე ქარხნები და ფაბრიკები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა განათლების მდგომარეობა, ჯანმრთელობის დაცვის საქმე, კავშირგაბმულობის საშუალებანი, მიღწეულია წარმატებები სოფლის მეურნეობის დარგშიც.

ავღანელი ხალხის წარმატებითს მშვიდობიან შემოქმედებითს ბრძოლას ხელს უწყობს ავღანეთის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, სამხედრო ბლოკებსა და დაჯგუფებებში მოაყოლეოობის მიუღებლობია პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირი ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს მეზობელ, ეგობრულ ავღანეთს.

საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან ღრმა სიმპათიისა და პატივისცემის გრძნობით ავღანეთისადმი. მათ ხაოდვილად ახარებთ ავღანელი ხალხის წარმატებები თავისი ქვეყნის კეთილმოწყობისა და ეკონომიური განვითარების საქმეში. ისინი მიესალმებიან ავღანელ ხალხს, სულით და გულით უსურვებენ იმედგომ წარმატებებს ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ავღანეთის დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

* * *

სურათზე: ავღანეთის დედაქალაქ ქაბულის მიავნდის პროსპექტის ხედი.

ყოველი მხრიდან

საგარეო საქმეთა მინისტრების ქენევის თათბირი

ქენევა, 25 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დღეგანდელ, სათვალავით მეთერთმეტე, სხდომას თავმჯდომარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. ჰერტერი.

გახსნა რა სხდომა, მან საფრანგეთის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა იმ ვითარების გაგებისათვის, რომელიც შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯ. ფ. დალესის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, და თანხმობისათვის, რომ თათბირის მუშაობა შეწყდეს ორი დღით — 27 და 28 მაისს, რათა თათბირის მთელ რიგ მონაწილეებს შეეძლოთ გაემგზავრონ დალესის დაკრძალვაზე.

მ. კუმ დე მიურვილმა, ს. ლოიდმა, ა. გრომიკომ, ვ. გრეგემ და ლ. ბოლეცმა სამძიმარი გამოთქვეს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის გარდაცვალების გამო.

ამის შემდეგ სხდომის მონაწილეებმა განაგრძეს დისკუსია თათბირის განსახილველად წარმოდგენილ პრობლემებზე.

გერმანიასთან სანავო ხელშეკრულების საკითხზე ბანგანაცხადა გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

ა. ა. გრომიკოს განცხადება

საბჭოთა მთავრობა, განაცხადა ა. ა. გრომიკომ, ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიასთან საბავო ხელშეკრულებას და უწინარეს ყოვლისა იმისთვის ცდილობს, რომ ამ საკითხის განხილვა თათბირზე კონკრეტული და ნაყოფიერი იყოს, რომ რაც უფრო მალე დაიდოს გერმანიასთან საბავო ხელშეკრულება, ომდროთაც გავეძიებინებთ მეორე მსოფლიო ომს ყველა მის პოლიტიკური, სამართლებრივი და მორალური ხასიათის შედეგებს, მით უფრო შორს გადაიწევს ახალ საომარ შეტაკებათა საფფოხე, მით უფრო მტკიცე იქნება სახელმწიფოთის მშვიდობიანი ურთიერთობის საფუძვლები.

აღნიშნა რა, რომ საბჭოთა კავშირის საფოთხილეს, მის მისწრაფებას დროზე გადაეღობოს გზა გერმანიის მილიტარიზმს, ბევრნი იზიარებენ საფრანგეთშიც, ინგლისშიც, ამერიკის ეროვნულ შტატებშიც. ა. ა. გრომიკომ გააკრიტიკა თათბირზე გამოთქმული აზრი, რომ გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების დადების ამოცანას ამჟამად თითქოს აღარ აქვს არსებითი მნიშვნელობა ან საერთოდ იგი არც კი დგას ჩვენს წინაშე.

მაგრამ რა სურთ გაამართლონ, იკითხა მან, საბავო ხელშეკრულების დაუდებლობით? გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეყვანა ნატოში, მისი ტერიტორიის გადაქცევა ზოგიერთი სახელმწიფოს ატომური ბომბდამშენებისა და რაკეტების სასტარტო ზოლად, ბუნდესვერის აღჭურვა ატომგულისა და რაკეტული იარაღით? ნურავის ექნება იმედი, რომ საბჭოთა კავშირის სახით იპოვის პარტნიორს, რომელიც ხელს შეუწყობს ასეთ მდგომარეობას. ჩვენ ვერავინ დაგვარწმუნებს, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. გრომიკომ, რომ საბავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი არ შეესაბამება ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაიჭრას გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების დადებით. ამასთან დაკავშირებით მან მოიყვანა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ნათქვამი, რომელიც განმარტავს ამ პროექტის აზრსა და მნიშვნელობას:

„საბჭოთა კავშირის პროექტი საბავო ხელშეკრულებისა ითვალისწინებს გერმანელი ხალხის უფლებათა ჭეშმარიტ ყოფას, მის სრულ სუვერენიტეტს, მშვიდობიანი დემოკრატიული განვითარების ყველა შესაძლებლობას და ამასთანავე ევროპაში ხალხთა უშიშროებისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმრო ღონისძიებებს. გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების დადება ერთბაშად შეანელებდა დაძაბულ ვითარებას ევროპაში. იგი შექმნდა მტკიცე სამართლებრივ წესრიგს, ნიადაგს გამოაცლიდა რევანშისტულ განწყობილებებს დასავლეთ გერმანიაში, გაათავისუფლებდა გერმანელ ხალხს უცხოელთა ოკუპაციისაგან და საშუალებას მისცემდა მას თვითონ გადაჭრას საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხი".

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ საბავო ხელშეკრულების საკითხის განხილვის დროს თათბირზე გამოვლინდა სხვადასხვა მიდგომა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრისადმი. მაშინ როცა საბჭოთა მთავრობამ თათბირის განსახილველად შემოიტანა თავისი კონკრეტული წინადადებანი და ცდილობდა მათი განხილვის გზით დასავლეთის სახელმწიფოების წინადადებათა განხილვასთან ერთად მიღწეულიყო ერთიანი აზრი გერმანიასთან მომავალი საბავო ხელშეკრულების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა ამჯობინეს სხვა მეთოდი. მათ გააერთიანეს სხვადასხვა პრობლემა და მოითხოვეს ყველა მათი ერთად გადაწყვეტა.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, განაცხადა ა. ა. გრომიკომ, რომ ახლანდელ თათბირზე ყველაზე შინაარსიანი იყო გერმანიასთან საბავო მოწესრიგების კონკრეტული საკითხების განხილვა.

აღნიშნა რა, რომ საბჭოთა დელეგაცია დიდ ყურადღებას უთმობს დაღებითს მომენტებს, რომლებიც იყო თათბირის სხვა მოხაწილეთა გამოსვლებში, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამასთან განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, უკანასკნელ სხდომებზე შესამჩნევი გახდა სამი სახელმწიფოს დელეგაციების მისწრაფება გვერდი აუარონ იმ კონკრეტული საკითხების განხილვას, რომლებიც საბავო ხელშეკრულებას ეხება, გათქვიფონ ეს საკითხები ზოგადი ხასიათის დისკუსიაში.

აღნიშნა რა, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფოს „კომბინაციური გეგმის" მთავარი განმასხვავებელი თვისებაა მისწრაფება მასში აღძრული სხვადასხვა საერთაშორისო საკითხის, განსაკუთრებით გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების საკითხის განხილვა განპირობონ გერმანიის გაერთიანებით, ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ, თუმცა დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ ასეთი პოზიცია დაგვიხატონ როგორც „ბრუნვა" გერმანიის სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენისათვის, სინამდვილეში საბავო ხელშეკრულების საკითხის მიერ ეს გერმანიის გაერთიანების პრობლემაზე ხდება იმ მიზნით, რომ სამი სახელმწიფოს მიერ მომზადებული წინადადებებისაგან შექმნან მაგარი, გაქვავებული და ეძარი ბლოკი, რომელშიც გზა უნდა გადაეღობოს გერმანიასთან ზავის მოწესრიგებას და ბერლინის საკითხის გადაჭრას.

მდგომარეობა გერმანიაში ახლა ისეთია, განაგრძო მან, რომ თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს ხელი შევუწყოთ ამ ქვეყნის სახელმწიფო ერთიანობის აღდგენას, უნდა მივიკეთ შესაძლებლობა ორივე გერმანულ სახელმწიფოს დაახლოვდნენ, გამოძებნონ საერთო ენა და ერთად დასახონ გაერთიანების მათთვის შესაფერისი გზები და ფორმები.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს თავისი კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხზე — გერმანიის კონფედერაციის შექმნის გეგმა. შესაძლებელია, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასაც ექნეს თავისი წინადადებანი, თუ ორივე სახელმწიფო მოლაპარაკებას დაიწყებს.

შეიძლება თუ არა ოთხ სახელმწიფოს — სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს — ხელი შეუწყოს გერმანელებს ამ მიზნის მიღწევაში? უეჭველად, შეუძლია.

ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა დაიდოს გერმანიის საბავო ხელშეკრულება.

საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა ერთად განაცხადონ, რომ ოთხ სახელმწიფოს სასურველად მიაჩნია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოლაპარაკება გერმანიის ერთიანობის აღდგენის გზებზე და ჭეროვნად ცნობენ ამ საკითხზე ორი გერმანული სახელმწიფოს მთავრობათა შეთანხმებას.

რა თქმა უნდა, თუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ამბობენ შეიქმნას სრულიად გერმანიის კომიტეტი, ჩვენ პრინციპულად ასეთი კომიტეტის შექმნის მოძრაგი ვიქნებით.

ხელშეკრულების პროექტის შედგენისას, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, ჩვენი ვიდწრაფოდით გაგვეთვალისწინებინა ანტიჰიტლეოულ კოალიციაში ოვენი ყოფილი მოკავშირეების ინტერესები და ეს დოკუმენტი ითვალება გაგვეთვალა ყველა დაინტერესებული ძხარისათვის.

საბჭოთა დელეგაციამ გამოიჩინა მზადყოფნა საქმიანად გაითვალისწინოს სხვა მოხაწილეთა მოსაზრება ყოველ კონკრეტულ ეუნალზე. მთელ რიგ ეეთხვევებში ააა დაიკაყოფილა თათბირის სხვა ძონაწილეთა სურვილი.

ა. ა. გრომიკომ გამოთქვა საბჭოთა დელეგაციის ოდენა, რომ გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების საკითხზე ცხადყო, რომ ჩვენს ყინაზე ძალიან დიდი სამუშაოა. ოა თქმა უნდა, საბჭოთა დელეგაციას კარგად ესმის, თუ რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული ამ საკითხში მბარეთა თვალსაზრისების შეთახხმება.

მაგრამ საბჭოთა დელეგაცია ვერ ხედავს იმის არსებით დაბოკოლებას, რომ ჩვენს თათბირს, თუ იქნა ძის ძონაწილეთა საქორო დაინტერესება, არ შეეძლოს არა მარტო მკვდარი ეურტილიდან დაძრას, არამედ მნიშვნელოვნად დაგვიახლოოს მშვიდობის ბედისა და გერმანელი ხალხისათვის ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა, ხოლო თუ მოთმინებით ვიმუშავეთ და სურვილი გვექნა, მოამზადოს გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების შეთანხმებული პროექტი.

ა. ა. გრომიკომ, ბოლოს, ხაზგასმით აღნიშნა, ამ ბოლო ეეთხვევაში ჩვენ ეეთხვევა ეეთხვევა ეეთხვევა